ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №22
2014 წლის 8 აგვისტო

ქ. ბოლნისი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა და მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ და დ.ე" ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, საქართველოს კანონის ,,ნორმატიული აქტების შესახებ" მე-20 მუხლის მე-2 პუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

1.განისაზღვროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები შემდეგი ოდენობით:

ა) საკრებულოს თავმჯდომარე -2650 ლარი;

ბ)საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე -1700 ლარი;

გ)საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე -1350 ლარი;

დ)საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე -1350 ლარი;

ე) საკრებულოს აპარატი უფროსი -1000 ლარი;

ვ) საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე -790 ლარი;

ზ)მთავარი სპეციალისტი -560 ლარი;

თ)წამყვანი სპეციალისტი -520 ლარი;

ი)უფროსი სპეციალისტი -470ლარი;

კ)სპეციალისტი -400 ლარი;

დამხმარე მოსამსახურე -520 ლარი.

2.განისაზღვროს ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები შემდეგი ოდენობით:

ა) გამგებელი -2650;

ბ)გამგებლის პირველი მოადგილე -1300 ლარი;

გ)გამგებლის მოადგილე -1300 ლარი;

დ) გამგეობის სამსახურის უფროსი -1000 ლარი;

ე)გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსი -810 ლარი;

ვ) გამგებლის თანაშემწე -790 ლარი;

ზ) გამგებლის წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში- 790 ლარი;
თ)მთავარი სპეციალისტი 560- ლარი;
ი) წამყვანი სპეციალისტი -520 ლარი ;
კ)უფროსი სპეციალისტი -470 ლარი;
ლ) სპეციალისტი -400 ლარი;
მ)დამხმარე მოსამსახურე -520 ლარი;

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 22 ოქტომბრის №34 დადგენილება (ვებგვერდი 24/10/2012 სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010320010.35.158.016098

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **თამაზ ჟორჟოლიანი**